COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2005 წლის 25 ნოემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

დასკვნა #7 (2005)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ

მართლმსაჯულებისა და საზოგადოების შესახებ

მიღებულია CCJE-ს მე-6 სხდომაზე
(სტრასბურგი, 2005 წლის 23-25 ნოემბერი)

შესავალი

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დაევალა 2005 წლის განმავლობაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ შეემუშავებინა დასკვნა „მართლმსაჯულებისა და საზოგადოების“ შესახებ[1].

2. ზემოხსენებულთან დაკავშირებით, CCJE-მ განიხილა შემდეგი საკითხები, რომლებიც ევროპელ მოსამართლეთა გლობალურ ჩარჩო სამოქმედო გეგმაშია ასახული:

- საზოგადოებასთან ურთიერთობები და დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოების საგანმანათლებლო როლი (იხილეთ სამოქმედო გეგმის ნაწილი V ბ)
- სამართალწარმოების პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობები (იხილეთ სამოქმედო გეგმის ნაწილი V გ)
- სასამართლოების მიერ სამართალწარმოების პროცესში და გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენა (იხილეთ სამოქმედო გეგმის ნაწილი V დ)

3. მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- ევროპის საბჭოს საკანონმდებლო აქტების კრებული; ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მე-5 შეხვედრის შედეგები, რომელიც მიძღვნილი იყო საკითხისადმი: „უზენაესი სასამართლო: საჯაროობა და გამჭვირვალეობა“ (ლუბლიანა, 1999 წლის 6-8 ოქტომბერი); მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეების კონფერენცია თემაზე „მართლმსაჯულება და საზოგადოება“ (ვილნიუსი, 1999 წლის 13-14 დეკემბერი) და ევროპის მინისტრთა კონფერენცია მიძღვნილი მედიასაშუალებების პოლიტიკის საკითხებისადმი (კიევი, უკრაინა, 2005 წლის 10-11 მარტი);

- დელეგატების მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების შეჯამება (თანდართული განმარტებითი ბარათით), მომზადებული CCJE-ს თავმჯდომარის მოადგილის მიერ და წარდგენილი სტრასბურგში 2004 წლის 22-24 ნოემბერს შემდგარ CCJE-ს პლენარულ შეხვედრაზე;

- CCJE-ს სპეციალისტის ბატონ ერიკ კოტიერის (შვეიცარია) მიერ მოცემულ თემაზე მომზადებული ანგარიში;

- „მართლმსაჯულებისა და მედიის“ საკითხებისადმი მიძღვნილი ევროპელ მოსამართლეთა მეორე კონფერენციის მონაწილეების პრეზენტაციები, რომელიც ორგანიზებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ მინისტრთა კომიტეტის პოლონეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში CCJE-ის ინიციატივით და პოლონეთის მოსამართლეთა

---

[1] იხილეთ CCJE შესაბამისი ტექნიკური დავალება 2004-2005 წლებისთვის, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 876-ე შეხვედრაზე (2004 წლის 17 მარტი, პუნქტი 10.1).

საბჭოსთან ერთობლოვად, პოლონეთის იუსტიციის საბჭოს მხარდაჭერით (კრაკოვი, პოლონეთი, 2005 წლის აპრილი)[2];
- CCJE-ს სამუშაო ჯგუფის (CCJE-GT) მიერ 2005 წელს მომზადებული დასკვნა.

4. წინამდებარე დასკვნის მომზადების პროცესში CCJE-მ ასევე გაითვალისწინა ვარშავის დეკლარაციის მოთხოვნები, შემუშავებული სახელმწიფოების მეთაურების და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობის მესამე სამიტზე, რომელიც ვარშავაში შედგა 2005 წლის 16-17 მაისს, სადაც სამიტის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათ მიერ დაკისრებული ვალდებულება ხელი შეუწყონ „სამართლის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრების გაუმჯობესებას მთელ კონტინენტზე, და ევროპის საბჭოს მიერ სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის პოტენციალის გაზრდას“. ზემოთხსენებული სამიტის ფარგლებში სახელმწიფოების მეთაურებმა და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა „ხელშემკვრელ მხარე სახელმწიფოებში დამოუკიდებელი და ეფექტური მართლმსაჯულების მნიშვნელობას და როლს“.

5. წინამდებარე დასკვნა შემდეგ საკითხებს შეეხება: (ა) სასამართლოებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები, აქცენტით დემოკრატიულ საზოგადოებებში სასამართლოების როლზე; (ბ) სასამართლოს ურთიერთობები სამართალწარმოების პროცესის მონაწილეებთან; (გ) სასამართლოს ურთიერთობები მედიასთან; და (დ) სამართალწარმოების პროცესში და სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენის სიცხადე და სიმარტივე.

ა. სასამართლოებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები, აქცენტით დემოკრატიულ საზოგადოებებში სასამართლოების როლზე

6. ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიის განვითარება გულისხმობს, რომ მოქალაქეებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურების ორგანიზებასა და იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კანონმდებლობის შემუშავება. გარდა ამისა, მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ, თუ როგორ ფუნქციონირებს სასამართლო ინსტიტუტი.

7. მართლმსაჯულება დემოკრატიული საზოგადოებების უმნიშვნლოვანესი კომპონენტია. მისი მიზანია მხარეებს შორის არსებული დავების გადაწყვეტა და

[2] კონფერენციის მონაწილეები, ანუ მოსამართლეები და მოცემული თემით დაინტერესებული სხვა სფეროების პროფესიონალები, მათ შორის მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და ექსპერტები, დისკუსიების მსვლელობისას ყურადღებას ამახვილებდნენ ერთის მხრივ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ECHR) შესაბამის დებულებებზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ შესაბამის დოკუმენტებსა და ინსტრუმენტებზე, პრესის მიერ ამ უფლების დაცვის ხელშეწყობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, დისკუსიები შეეხო სამართლიანი და საჯარო სასამართლო განხილვის უფლებასთან, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოსთან, ადამიანის ღირსების, პირადი ცხოვრების, რეპუტაციის დაცვასთან, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საკითხებს და ძირითად მიზანს წარმოადგენდა ურთიერთსაპირისპირო უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ბალანსის მიღწევა.

სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს „ნორმატიული“ და „საგანმანათლებლო“ დანიშნულება აქვთ. გარდა ამისა, სასამართლოს ფუნქციონირების მიზანია მოქალაქეებისთვის შესაბამისი ხელმძღვანელობის გაწევა, ინფორმაციის მიწოდება და კანონის მოთხოვნების დაცვისა და მისი პრაქტიკული აღსრულების უზრუნველყოფა[3].

8. სასამართლოები წარმოადგენენ, და იმავდროულად, საზოგადოების მიერაც მოიაზრებიან, როგორც სამართლებრივი უფლებების და ვალდებულებების დადგენისა და ამასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ფორუმად; ზოგადად, საზოგადოება პატივს სცემს სასამართლოს და ენდობა მას, როგორც ინსტიტუტს, რომელსაც ზემოთხსენებული ფუნქციის შესრულების უნარი გააჩნია[4]. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის, მათი სოციო-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს როლთან მიმართებაში, განსაკუთრებით, კი იმის გაცნობიერების თვალსაზრისით, რომ მოსამართლის მოვალეობა მდგომარეობს კანონის სამართლიან და ერთგვაროვან გამოყენებაში, დამოუკიდებლად შესაბამისი სოციალური ან პოლიტიკური ზეწოლებისა. შესაბამისად, სასამართლოს საქმიანობის მიმართ ნდობის დონე სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირია[5]. ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება სასამართლოს ფუნქციონირებისა და მისი როლის თაობაზე, ასევე მისი სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისგან დამოუკიდებლობის თაობაზე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასამართლოს მოქმედების ფარგლების სწორად გაცნობიერებას და იმის აღქმას, რომ სასამართლო წარმოადგენს დემოკრატიული კონსტიტუციონალური სისტემების ქვაკუთხედს.

9. მოქალაქეების უმეტესობის ცოდნა სასამართლო სისტემის შესახებ შემოიფარგლება იმ ცოდნით და გამოცდილებით, რაც მათ შეიძლება სასამართლო პროცესებში დავის მხარის, მოწმის ან ნაფიცი მსაჯულის სტატუსით მონაწილეობის შედეგად შეიძინეს. მედიის როლი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში სასამართლოების როლისა და მნიშვნელობის თაობაზე, უაღრესად დიდია (იხილეთ წინამდებარე დასკვნის ნაწილი „გ“); მაგრამ, როგორც CCJE-ს დისკუსიებმა ცხადყო, რომ გარდა მედიის მიერ სასამართლოებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებისა, უაღრესად მნიშვნელოვანია პირდაპირი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის. მართლმსაჯულების საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის აუცილებელია სასამართლო სისტემის გახსნილობა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. იდეა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სასამართლო მედია ცენტრის სახით მოქმედებდეს, არამედ იგი მართლმსაჯულების პროცესების თაობაზე

---

[3] იხილეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მე-5 შეხვედრის დასკვნები; ლუბლიანა, 1999 წლის 6-8 ოქტომბერი, პარაგრაფი 2.

[4] იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სანდეი ტაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A, No. 30, სადაც აღნიშნულია, რომ ტექსტში მოყვანილი ცნებები მოცულია ტერმინში „სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება“, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლშია ასახული.

[5] იხილეთ „მართლმსაჯულებისა და საზოგადოების“ თემისადმი მიძღვნილი მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეების კონფერენციის შემაჯამებელი დასკვნები, ვილნიუსი, 1999 წლის 13-14 დეკემბერი, პარაგრაფი 1.

ინფორმაციის გავრცელებას უნდა უზრუნველყოფდეს. ნათელია, რომ სასამართლოს საქმიანობის სრული გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა არ არის შესაძლებელი გამოძიების ეფექტურობისა და მხარეების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მაგრამ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს სასამართლო, უაღრესად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო მიზნებში, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის გაზრდას სასამართლო სისტემისადმი.

10. იმისთვის, რომ სასამართლო ინსტიტუტები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის, საჭიროა ზოგადი ზომების დანერგვა საზოგადოებისათვის სასამართლოების ფუნქციონირების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

11. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით CCJE-ის სურს ყურადღება გაამახვილოს საკუთარ დასკვნაზე No. 6 (2004) სასამართლოების საგანმანათლებლო როლისა და საქმიანობის თაობაზე და ამ მიზნით სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების, ან სასამართლოს საქმიანობაში დაინტერესებული სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების სასამართლოებში ვიზიტების ორგანიზების საჭიროებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ვალდებულება მიაწოდოს ყველას, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს, შესაბამისი ინფორმაცია და სასწავლო მასალები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მართლმსაჯულების სისტემას.

12. კომუნიკაციის მოცემული ფორმა უფრო ეფექტური ხდება, თუ ინფორმაციის მიწოდებაში ის პირები იღებენ მონაწილეობას, რომლებიც თავად სისტემაში მუშაობენ. სასკოლო და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები (იგულისხმება არა მხოლოდ სამართლის ფაკულტეტების პროგრამები) სასამართლო სისტემის აღწერას უნდა შეიცავდნენ (ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსამართლეების ვიზიტები სკოლებსა და ინსტიტუტებში); გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლოებში ვიზიტების ორგანიზება და სასამართლო პროცედურების თაობაზე ცოდნის აქტიური გაზიარება და სწავლება (როლური თამაშები, სასამართლო მოსმენებზე დასწრება და სხვა)[6]. სასამართლოებმა და მოსამართლეთა ასოციაციებმა უნდა ითანამშრომლონ სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა საგანმანათლებლო ისნტიტუტებთან, ასევე მოსამართლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო პროცესში და საჯარო დებატებში.

13. CCJE-მ უკვე აღნიშნა ზოგადი სახით, რომ სასამართლოებმა თავად უნდა მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების მისაწვდომობის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაში (პერიოდული ანგარიშების, მოქალაქეებისთვის ბეჭდვითი მასალებისა და გზამკვლევების მომზადების, ინტერნეტის და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების მეშვეობით); CCJE-მ უკვე შეიმუშავა რეკომენდაცია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების თაობაზე,

---

[6] იხილეთ „მართლმსაჯულებისა და საზოგადოების“ თემისადმი მიძღვნილი მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეების კონფერენციის შემაჯამებელი დასკვნები, ვილნიუსი, 1999 წლის 13-14 დეკემბერი, პარაგრაფი 1.

რომლებიც კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებაზე იქნება ორიენტირებული (მაგ. სამართალწარმოების სხვადასხვა სახეები, სხვადასხვა სასამართლოებში სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა, დავის მხარეებისთვის მისაწვდომი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები; სასამართლოების მიერ მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები); იხილეთ CCJE-ს დასკვნა No. 6 (2004, პარაგრაფები 12-15).

14. სასამართლოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა სტრუქტურების მიერ მომზადებულ ჩარჩო პროგრამებში (იუსტიციის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტები და სხვა). მაგრამ აღსანიშნავია, რომ CCJE-ს აზრით, სასამართლოებმა ამ მიმართულებით საკუთარი ინიციატივებიც უნდა განახორციელონ.

15. სასამართლოებს ტრადიციულად მართლმსაჯულების სისტემით ინდივიდუალურ მოსარგებლეებთან აქვთ ურთიერთობები, რაც არასტრუქტურირებული გზით ხორციელდება, და შესაბამისად, წარსულში სასამართლოები თავს იკავებდნენ საზოგადოების წარმომადგელებთან ურთიერთობების დამყარებაში, თუ ისინი არ იყვნენ სამართალწარმოების პროცესის მონაწილეები. საჯარო სასამართლო განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენიციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, ტრადიციულად განიხილებოდა როგორც ერთადერთი კონტაქტი საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის, ხოლო მედია მათ შორის დამაკავშირებელი შუალედური რგოლი იყო. ასეთი დამოკიდებულება სწრაფად იცვლება. დღეს მოსამართლის მიუკერძოებლობისა და შეხედულების ვალდებულება არ აღიქმება როგორც დაბრკოლება იმისთვის, რომ სასამართლომ აქტიური როლი ითამაშოს საზოგადოების ინფორმირებაში, რადგანაც ეს სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის გამოხატულებაა. CCJE-ს მიჩნია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსამართლეების მიერ ასეთი აქტიური როლის დაკისრებას, განსაკუთრებით კი 9-12 პარაგრაფებში აღწერილი „საგანმანათლებლო“ როლის გაფართოებას. მოსამართლეების საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებით, არამედ ისინი „ფასილიტატორების“ და „კომუნიკატორების“ სახით უნდა მოქმედებდნენ. CCJE-ს აზრით, თუ აქამდე სასამართლოები საგანმანათლებლო პროგრამებში მხოლოდ იმ შემთხვევებში იღებდნენ მონაწილეობას, როდესაც შესაბამისი ინიციატივით სხვა სტრუქტურები გამოდიოდნენ, ამჟამად საჭიროა, რომ სასამართლოები თავად იყონ ასეთი პროგრამების ინიციატორები.

16. CCJE-მ განიხილა სასამართლოების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით პირდაპირი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც არ იქნება დამოკიდებული მედიასთან ურთიერთობებზე, და/ან სხვა ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ინიციატივებზე. აღნიშნულისთვის შემდეგი ზომების გატარებაა რეკომენდირებული:

- სასამართლოებში ისეთი სამსახურების შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მოქალაქეთა მიღებასა და საინფორმაციო მომსახურეობაზე;
- ბეჭდვითი მასალების გავრცელება, სასამართლოების ინტერნეტ-საიტების გახსნა;

- სასამართლოების მიერ საგანმანათლებლო ფორუმებისა და/ან საჯარო შეხვედრების კალენდარის შემუშავება, რომლებშიც მონაწილეობის მიღება მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სტუდენტებს და პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ პირებს შეეძლებათ („საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამები“).

17. CCJE-მ ცალკე დისკუსიები დაუთმო „საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამებს“. CCJE აღნიშნავს, რომ ზოგ ქვეყნებში სასამართლოები სხვა სოციალურ პარტნიორებთან ერთობლივად ახორციელებენ საგანმანათლებლო ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, მშობლების, ადვოკატების, სათემო ლიდერების და მედიის სასამართლოში მოწვევაზე მოსამართლეებთან კომუნიკაციისა და მართლმსაჯულების სისტემის გაცნობის ხელშეწყობაზე. ასეთი პროგრამები ძირითადად ითვალისწინებენ მოცემული სფეროს პროფესიონალების მონაწილეობას შეხვედრებში წინასწარ მომზადებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით და ეს მასწავლებლების პროფესიული განვითარების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

18. ზოგი ღონისძიება ისეთ პირებზეა განმიზნული, რომლებიც მათი სოციო-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გამო არ არიან კარგად ინფორმირებულები თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რის გამოც ისინი ვერ სარგებლობენ შესაბამისი უფლებებით, ან რაც კიდევ უფრო უარესია, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სამართალწარმოების მხარეები ხდებიან. ყველაზე დაუცველი სოციალური ჯგუფების მართლმსაჯულების თაობაზე ინფორმირიების მიზნით სპეციალური პროგრამები ხორციელდება, რომლებიც მიმართულია ისეთი სქემების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე და ცნობიერების ამაღლებაზე, როგორიცაა „მართლმსაჯულების მისაწვდომობის“ გაუმჯობესება, უფასო იურიდიულ დახმარება, საზოგადოების ინფორმირების სერვისები, მცირე მოცულობის სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაში მოსამართლის პირდაპირი წვდომა, და სხვა (იხილეთ CCJE-ს დასკვნა No. 6 (2004), ნაწილი „ა“).

19. CCJE რეკომენდაციას იძლევა, რომ საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებაზე მიმართული („საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამები“) ზემოთ აღწერილი პროგრამები მხარდაჭერილი იყოს ევროპელი მოსამართლეების და სახელმწიფოების მიერ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასეთი პროგრამები ფართოდ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში. CCJE-ს მიაჩნია, რომ ასეთი პროგრამები სცდება საზოგადოებისათვის უბრალოდ ინფორმაციის მიწოდების ფარგლებს. ასეთი პროგრამების მიზანია საზოგადოებაში სწორი აღქმის ფორმირება მოსამართლის როლის შესახებ. მოცემულ კონტექსტში CCJE-ს მიაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს და განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობაში შედის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების თაობაზე საზოგადოებისათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდება და სასწავლო პროგრამების შემუშავება სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის, ხოლო სასამართლოები, მოცემული სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპთან შესაბამისობაში, მიჩნეული უნდა იყოს როგორც საზოგადოების ინფორმირებულობაზე მიმართული პროგრამების შემუშავებაზე და განხორციელებაზე პასუხისმგებელი

სტრუქტურა, და ისინი რეგულარულად უნდა გამოდიოდნენ ისეთი ინიციატივებით, როგორიცაა კვლევების ჩატარება, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება, ადვოკატებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მიწვევა საჯარო შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად, და ა.შ. ასეთი პროგრამების მიზანია საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლება მართლმსაჯულების სისტემისადმი და ზოგადად, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერება.

20. CCJE-ს აზრით ზემოხსენებული პროგრამების შემუშავების მიზნით მოსამართლეებს შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებზე. გარდა ამისა, სასამართლოებს საგანმანათლებლო სტრუქტურებთან კომუნიკაციის მიზნით შესაბამისი პერსონალის დაქირავების საშუალება უნდა ჰქონდეთ (მოცემული ფუნქცია საზოგადოებასთან ურთიერთობებებზე პასუხისმგებელ პირს შეიძლება დაევალოს).

21. CCJE-ის მიაჩნია, რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული სხვადასხვა ინიციატივების კოორდინირების პასუხისმგებლობა, ისევე როგორც საზოგადოების ინფორმირებულობაზე მიმართული პროგრამების ეროვნულ დონეზე განხორციელების მხარდაჭერა CCJE-ის დასკვნა No. 1 (2001)-ის 37-ე და 45-ე პარაგრაფებში ნახსენებ დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქციებში უნდა შედიოდეს. გარდა ამისა, ზემოხსენებულ დამოუკიდებელ ორგანოს შეიძლება შესაბამისი სფეროს პროფესიონალების მეშვეობით პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების, აკადემიური წრეების და საზოგადოებრივი ინტერეს ჯგუფების უფრო სპეციფიური საინფორმაციო საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი საინფორმაციო რესურსების მომზადება და ამ ჯგუფებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება დაევალოს.

22. CCJE-მ უკვე შეიმუშავა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებლად პოლიტიკური ცვლილებებისა, სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელებისთვის ადეკვატური დაფინანსება უნდა იყოს გამოყოფილი, და სასამართლო ინსტიტუტები ჩართული უნდა იყვნენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ მათ ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ასეთი მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა ზემოხსენებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მაკოორდინირებელი როლის შესრულება მოცემულ საკითხთან მიმართებაში (იხილეთ დასკვნა No. 2 (2001), პარაგრაფები 5, 10 და 11). CCJE რეკომენდაციას იძლევა, რომ სათანადო დაფინანსება იყოს უზრუნველყოფილი ისეთი აქტივობების განხორციელებისთვის, რომლებიც სასამართლო სისტემის ფუნქციონირების განმარტებაზე და სასამართლო სისტემის გამჭვირვალეობის გაუმჯობესებაზეა მიმართული, CCJE-ს დასკვნა No. 2 (2001)-ში ასახული პრინციპების შესაბამისად. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაზე მიმართულ პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები ცალკე ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, რათა ეს ხარჯები სასამართლოების საოპერაციო ბიუჯეტებს არ მიეწეროს.

23. CCJE-ს ფარგლებში შემდგარი დისკუსიებიდან გამოიკვეთა, რომ იმისთვის, რომ საზოგადოების მართლმსაჯულებისადმი სწორი დამოკიდებულებების ფორმირება მოხდეს, იგივე პრინციპები, რაც მოსამართლეების მიმართ არის შემუშავებული,

პროკურორებზეც უნდა ვრცელდებოდეს. ევროპის საბჭოს პროკურორებთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო აქტების კრებულის გათვალისწინებით[7], CCJE-ს მიაჩნია, რომ პროკურორებმა მათ იურისდიქციაში არსებულ სამართალწარმოების ნაწილთან მიმართებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში.

ბ. სასამართლოს ურთიერთობები სამართალწარმოების პროცესის მონაწილეებთან

24. საზოგადოების წარმოდგენის ფორმირება მართლმსაჯულების სისტემის თაობაზე მედიის ზეგავლენით ხდება, მაგრამ გარდა ამისა ამ წარმოდგენაზე ზეგავლენას ახდენენ იმ მოქალაქეების მოსაზრებები, რომლებიც სასამართლო განხილვებში იღებენ მონაწილეობას მხარეების, მოწმეების ან ნაფიცი მსაჯულების სახით.

25. საზოგადოების წარმოდგენა უარყოფითი იქნება, თუ მართლმსაჯულების სისტემა თავისი მონაწილეების გამო (მოსამართლეები, პროკურორები, სასამართლო მოხელეები) მიკერძოებული ან არაეფექტური სისტემის სახით მოიაზრება.

26. CCJE-მ თავის წინა დასკვნებში (კერძოდ კი დასკვნა No. 1 (2001), No. 3 (2002) და No. 6 (2004)) უკვე ისაუბრა იმის აუცილებლობაზე, რომ მოსამართლეები სრულად მიუკერძოებლები უნდა იყვნენ და დავები სამართლიანად და გონივრულ ვადაში უნდა გადაწყდეს. წინამდებარე დასკვნა შეეხება საზოგადოებაში მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების შესახებ მცდარი წარმოდგენების ფორმირების თავიდან აცილებას, ან ასეთი წარმოდგენების და ცოდნის ნაკლებობის გამოსწორებას.

27. CCJE-ს მიაჩნია, რომ იმისთვის, რომ სასამართლოს როლი უკეთ იყოს გაცნობიერებული, საჭიროა მაქსიმალური ძალისხმევის მიმართვა იმაზე, რომ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა ჰქონდეს მართლმსაჯულების სისტემაზე, და მოსამართლეების და სასამართლო მოხელეების მიერ საზოგადოების პატივისცემისა და ნდობის მოპოვებაზე და სასამართლოების ეფექტურად ფუნქციონირებაზე მიმართული საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია სწორად უნდა იყოს მიტანილი საზოგადოებამდე. იმავდროულად, ასეთი ღონისძიებები ნათლად დაანახებს საზოგადოებას მართმსაჯულების სისტემისა და შესაძლებლობების ფარგლებს.

28. საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია მთელი რიგი სასამართლო სისტემები და სასამართლოები პროგრამები, რომელთა მიზანია შემდეგი სფეროების გაუმჯობესება: (ა) მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისთვის და ადვოკატებისთვის ტრენინგების ჩატარება ეთიკის საკითხებზე; (ბ) სასამართლოების შიდა მოწყობა; (გ) სამართალწარმოების პროცესი.

---

[7] იხილეთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000)19 პროკურორების როლზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში.

ა) მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისთვის და ადვოკატებისთვის ტრენინგების ჩატარება ეთიკის საკითხებზე

29. ტრენინგების ზოგი პროგრამა იმაზეა მიმართული, რომ მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ქცევის ყველა ასპექტიდან ნათელი ხდებოდეს, რომ ყველა პირისა და მხარეებისადმი მოპყრობა თანაბარია, ანუ ისინი მიუკერძოებლები არიან და არ ხდება დისკრიმინაცია რასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური წარმომავლობის, ან სოციალური კუთვნილების ნიშნით. მოსამართლეებს და სასამართლოს პერსონალს ტრენინგები უტარდებათ, რათა მათ შეძლონ ისეთი სიტუაციების გამოცნობა, როდესაც პირს უჩნდება შეგრძნება, რომ მის მიმართ დამოკიდებულება მიკერძოებულია, და ასეთი სიტუაციების მართვა ისეთი გზით, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოსადმი პატივისცემისა და ნდობის გაზრდას. ადვოკატებს ტრენინგებს უტარებენ ეთიკის საკითხებზე, რათა მათ ნებით ან უნებლიედ არ შეუწყონ ხელი საზოგადოებაში სასამართლოებისადმი უნდობლობის ჩამოყალიბებას.

ბ) სასამართლოების შიდა მოწყობა

30. ზოგი პროგრამა მიმართულია საზოგადოების უნდობლობის შემცირებაზე, რომელიც გამოწვეულია სასამართლოების შიდა ორგანიზებით. მაგალითად, პროკურორის სკამის მოშორება მოსამართლეების სკამისგან და მისი განთავსება დაცვის სკამის თანაბარ დონეზე, კიდევ უფრო გააძლიერებს მხარეთა თანასწორობის შეგრძნებას. გარდა ამისა, სასამართლოს ტერიტორიიდან და შენობიდან რაიმე რელიგიური ან პოლიტიკური ვიზუალური მინიშნებების მოხსნა ხელს შეუწყობს იმის შიშის გაფანტვას, რომ სასამართლო მიკერძოებულია, ან არ არის დამოუკიდებელი. ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ხელბორკილების გარეშე ყოფნის უფლების დართვა, მაშინაც კი, თუ იგი წინასწარ დაკავებაში იმყოფება გასამართლების მოლოდიში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უსაფრთხოების თვალსაზრისით რისკი არსებობს, და სასამართლო სხდომათა დარბაზში ტიხრების მოხსნა და მათ ნაცვლად უსაფრთხოების სხვა ზომების დანერგვა, ბევრად უფრო ნათელი გზავნილი იქნება საზოგადოებისთვის, რომ პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია ეფექტურად არის დაცული სასამართლოების მიერ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების გამჭვირვალეობას ხელს უწყობს მოქალაქეების მისაღები დარბაზის ორგანიზება, სასამართლოს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობის, კონკრეტული საქმეების განხილვის სტატუსისა და საჭირო ფორმალობების თაობაზე, ხოლო თუ სასამართლოს შენობის განლაგების გამო მოსარგებლე ვერ პოულობს შესაბამის ოთახს ან სხდომათა დარბაზს, მისი ადგილზე მიცილების შეთავაზება.

გ) სამართალწარმოების პროცესი

31. გარკვეული ზომები მიმართულია სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტების თავიდან არიდებაზე, რომლებიც შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს პირისთვის (მაგ. ფიცის ტექსტში რელიგიასთან დაკავშირებული მინიშნებები, მიმართვის ფორმა, და სხვა). ზოგი ზომა ისეთი პროცედურის დანერგვას ისახავს

მიზნად, რომლის შესაბამისადაც სასამართლო სხდომაზე დასწრებამდე დავის მხარეებს, ნაფიც მსაჯულებს ან მოწმეებს სასამართლოს პერსონალმა შეიძლება ინდივიდუალური, ან ჯგუფური გასაუბრება ჩაუტაროს, ან სოციოლოგის სპეციალისტებთან ერთობლივად მომზადებული აუდიოვიზუალური მასალების გამოიყენებით, განუმარტოს მათ იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სასამართლო სხდომა და რას უნდა მოელოდონ ისინი სასამართლო განხილვის მსვლელობისას. ასეთი პრეზენტაციის მიზანია სასამართლო სხდომების თაობაზე მცდარი წარმოდგენების გაქარწყლება.

32. CCJE მხარს უჭერს ბ29-ე, 30-ე და 31-ე პარაგრაფებში აღწერილ ღონისძიებებს, რადგანაც ისინი ხელს უწყობენ საზოგადოებაში სწორი აღქმის ჩამოყალიბებას მოსამართლეების მიუკერძოებლობისა და მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისადმი.

გ. სასამართლოს ურთიერთობები მედიასთან

33. მედიისთვის მისაწვდომია სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება გააჩნია, ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებული გარკვეული შეზღუდვების და დათქმების გათვალისიწნებით (მაგ. იხილეთ რეკომენდაცია Rec(2003)13 სისხლის სამართლის პროცესების შესახებ მედია საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელების თაობაზე). მედიის სფეროს პროფესიონალები თავისი შეხედულებისამებრ იღებენ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ისტორიები გააშუქონ, და რანაირად. არანაირი მცდებლობა არ უნდა იყოს მიმართული იმაზე, რომ მედიის მიერ მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების, ან მოწყობის კრიტიკის პრევენცია მოხდეს. მართლმსაჯულების სისტემამ უნდა აღიაროს მედია, როგორც გარეშე დამკვირვებელი, რომელსაც უფლება აქვს გააშუქოს სისტემის ხარვეზები და კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს სასამართლოების მეთოდებისა და შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში.

34. მოსამართლეები საკუთარ შეხედულებებს თავისი გადაწყვეტილებების მეშვეობით გამოხატავენ, და ისინი არ არიან ვალდებული განუმარტონ თავისი გადაწყვეტილებები პრესას, ან საჯარო განცხადებები გააკეთონ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი განიხილავენ. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ მიზანშეწონილია სასამართლოსა და პრესას შორის კონტაქტის გაუმჯობესება. კერძოდ:

i) სასამართლოს და მედიის როლის უკეთ გაცნობიერება;

ii) საზოგადოების ინფორმირება სამოსამართლოს საქმიანობის ხასიათის, კომპეტენციის საზღვრებისა და სირთულის თაობაზე;

iii) გარკვეულ საქმეებთან დაკავშირებით რეპორტაჟებში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომების გასწორება.

35. მოსამართლეებს სასამართლოს სპიკერზე ან პრესსამსახურის პერსონალზე ზედამხედველობის ფუნქცია უნდა გააჩნდეთ.

36. CCJE-ი ყურადღებას ამახვილებს ევროპელ მოსამართლეთა მეორე კონფერენციის დასკვნებზე (იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-3 პარაგრაფი), სადაც მითითებულია, რომ ევროპის საბჭოს ეთხოვა მოსამართლეთა და მედიას შორის რეგულარული შეხვედრების ხელშეწყობა და ევროპის დეკლარაციის პროექტის მომზადება სასამართლოსა და მედიას შორის ურთიერთობების საკითხებზე, რაც სისხლის სამართლის პროცესების შესახებ მედია საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელების თაობაზე რეკომენდაცია Rec(2003)13-ში განხილულ ასპექტებს შეავსებდა.

37. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას ამ ორ პროფესიასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პრაქტიკის თაობაზე მრგვალი მაგიდების ორგანიზების გზით, რათა განმარტებული იქნას ის პრობლემები და გამოწვევები, რაც ამ სფეროებისთვისაა დამახასიათებელი. CCJE-ს მიაჩნია, რომ ევროპის საბჭოს შეუძლია ასეთი კონტაქტების მხარდაჭერა ევროპულ დონეზე, რათა ევროპაში ამ მხრივ არსებული დამოკიდებულებები უფრო ერთგვაროვანი გახდეს.

38. საჭიროა ჟურნალისტიკის სკოლების მხარდაჭერა, რათა მათ სასამართლო ინსტიტუტებისა და მათი პროცედურების თაობაზე სასწავლო კურსები შეიმუშაონ და დანერგონ.

39. CCJE-ს აზრით უნდა შემუშავდეს მოსამართლეთა და ჟურნალისტების პრაქტიკის კოდექსი, რომელშიც ასახული იქნება ამ სფეროების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების და სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებული ნორმები. როგორც იმ სახელმწიფოების გამოცდილებამ აჩვენა, სადაც ასეთი მიდგომები უკვე დანერგილია, სასამართლო განსაზღვრავს იმ პირობებს, როდესაც მედიისთვის განცხადებები გაკეთდება სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემულ საქმეებთან დაკავშირებით, ხოლო ჟურნალისტები თავის სახელმძღვანელო ინსტრუქციებს შეიმუშავებენ მიმდინარე საქმეების გაშუქების, სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეების სახელების ან ფოტოების გამოქვეყნების (საქმის მხარეები, დაზარალებულები, მოწმეები, პროკურორი, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობას იღებს სასამართლო მოკვლევაში, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმის განხილვაში, და სხვა), და იმ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გაშუქების თაობაზე, რომლებიც საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევენ. CCJE, საკუთარი დასკვნა No. 3 (2002)-ის მე-40 პარაგრაფის მოთხოვნების გათვალისწინებით რეკომენდაციას იძლევა, რომ სასამართლოებმა მოცემული მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ.

40. CCJE-ის რეკომენდაციის შესაბამისად დამოუკიდებელი ორგანოს სახით უნდა ჩამოყალიბდეს ქმედითი მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მედიის მიერ მიმდინარე სამართალწარმოების გაშუქებასთან დაკავშირებული პრობლემების, ან იმ სიძნელეების დარეგულირებაზე, რომლებიც შეიძლება ჟურნალისტებს შეექმნათ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულების და ინფორმაციის გავრცელების პროცესში. ასეთი ორგანო ზოგად რეკომენდაციებს შეიმუშავებს, რომლებიც მომავალში მსგავსი პრობლემების და ხარვეზების აღმოფხვრაზე იქნება მიმართული.

41. მხარი უნდა დაეჭიროს სასამართლოებში მისაღები და საინფორმაციო მომსახურეობების ჩამოყალიბებას, რომელთა მიზანია არა მხოლოდ მოქალაქეების სასამართლოებში მიღება და ინფორმაციული დახმარების გაწევა, როგორც ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ, არამედ ასევე მედიისთვის დახმარების გაწევა, რათა მოცემული სფეროს წარმომადგენლებმა უკეთ გაიგონ, თუ როგორ ფუნქციონირებს მართლმსაჯულების სისტემა.

42. მოცემული მომსახურეობები მოსამართლეების ზედამხედველობით უნდა იყოს გაწეული, და ისინი შემდეგს ისახავენ მიზნად:

- მედიისთვის სასამართლო გადაწყვეტილებების თაობაზე შემაჯამებელი ინფორმაციის მიწოდება (რეზიუმეები);

- მედიისთვის სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება;

- მედიასთან თანამშრომლობა იმ საქმეების განხილვებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშუქების პროცესში, რომლებიც საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევენ.

- მედიის მიერ გაშუქებულ საქმეებთან დაკავშირებით განმარტებებისა და შესწორებების მიწოდება (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 34, iii). სასამართლოს მისაღების წარმომადგენლებმა ან სასამართლოს სპიკერმა[8] შეიძლება მედიას განუმარტოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემებისა და სირთულეების თაობაზე, უზრუნველყოს სასამართლო განხილვის ლოჯისტიკური და პრატქიკული ასპექტების ორგანიზება, მათ შორის უზრუნველყოს საქმის მხარეების, მოწმეების ან ნაფიცი მსაჯულების უსაფრთხოება.

43. სასამართლოებმა მედიას ინფორმაცია გამჭვირვალედ და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიაწოდონ.

44. საკითხი იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა დაშვებული სატელევიზიო კამერები სასამართლო დარბაზებში პროცესუალური მიზნების გარდა სხვა მიზნებში, ფართო მსჯელობის საგანია, რომელიც ასევე განხილული იქნა ევროპელ მოსამართლეთა მე-2 კონფერენციაზე (იხილეთ მოცემული ნაწილის მე-3 პარაგრაფი) და CCJE-ს შეხვედრებზე. CCJE-ს წევრების ნაწილისთვის სასამართლოების მუშაობის გასაჯაროების ეს ახალი ფორმა მისაღები არ არის.

45. სასამართლო განხილვების საჯარო ხასიათი დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთი ფუნდამენტალური პროცესუალური გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის ნორმებით დაშვებულია

---

[8] იხილეთ1999 წლის 6-8 ოქტომბერს ლიუბლიანაში შემდგარი ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მე-5 შეხვედრის შეჯამება, პარაგრაფი 4, სადაც განმარტებულია, რომ სასამართლოს სპიკერმა არ უნდა გაუზიაროს დაინტერესებულ პირებს პირადი მოსაზრებები სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების, ან მიმდინარე საქმეების თაობაზე.

გადახვევა პრინციპიდან, რომლის შესაბამისადაც სასამართლო განხილვა საჯარო უნდა იყოს, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს, რომ ასეთი გამონაკლისები მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.1-ში ასახული დათქმებით შემიფარგლოს.

46. საჯარო სასამართლო განხილვის პრინციპი გულისხმობს, რომ მოქალაქეები და მედიის წარმომადგენლები დაშვებული უნდა იყვნენ სასამართლოს სხდომათა დარბაზში სასამართლო განხილვების მიმდინარეობის პროცესში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აუდიოვიზუალური საშუალებები იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენენ მოცემულ სფეროზე, რომ საჯარო სასამართლო განხილვის ცნებამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა. ამას შეიძლება გარკვეული პოზიტიური წვლილი შეაქვს საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში სამართალწარმოების პროცესებთან დაკავშირებით, მაგრამ იმავდროულად ეს გარკვეულ რისკებსაც ქმნის, რადგან დარბაზში სატელევიზიო კამერებმა შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლო განხილვის პროცესს და პროცესში მონაწილე პირების ქცევაზე იმოქმედოს (მოსამართლეები, ადვოკატები, მხარეები, მოწმეები და სხვა).

47. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო პროცესის მსვლელობის სატელევიზიო ჩაწერა მიმდინარეობს, გამოყენებული უნდა იყოს სტაციონარული კამერა, და მოსამართლეს, რომელიც სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს, უფლება უნდა ჰქონდეს გადაწყვიტოს, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს ჩაწერა, და გარდა ამისა ტრანსლირების ნებისმიერ მომენტში შეწყვეტის მოთხოვნის შესაძლებლობა უნდა ჰქოდეს. ზემოხსენებული და სხვა ზომები პროცესის მონაწილეების უფლებების დაცვაზე და სასამართლო განხილვის შეუფერხებლად მიმდინარეობაზეა მიმართული.

48. მოცემულ კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იყოს პროცესის მხარეების აზრი, განსაკუთრებით გარკვეული ხასიათის სამართალწარმოების შემთხვევაში, როდესაც საქმე პირის პირად ცხოვრებას შეეხება.

49. იმის გათვალისწინებით, რომ სატელევიზიო ტრანსლიაციას უაღრესად დიდი ზეგავლენა გააჩნია პროცესზე და შეიძლება არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობის ტენდენციის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, CCJE მხარს უჭერს და მოუწოდებს მედია-წამომადგენლებს შეიმუშაონ პროფესიული ეთიკის კოდექსები, რომელთა მიზანია სამართალწარმოების პროცესის დაბალანსებული გაშუქებისა და რეპორტაჟების ობიექტურობის ხელშეწყობა.

50. შეიძლება არსებობდეს გარკვეული კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო განხილვების ჩაწერის საჭიროება, მაგრამ ამის განმაპირობებელი მიზეზები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. მაგალითად, საგანმანათლებლო მიზნები, ან განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის პროცესები, რომელთა ჩანაწერები უნდა იყოს დაცული. CCJE ხაზს უსვამს, რომ საჭიროა პროცესის მონაწილეების ინტერესების დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ გადაღების მეთოდები არ აფერხებდნენ სასამართლო პროცესის მიმდინარეობას.

51. მედია უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისად, მედიის ფუნქციაა „დემოკრატიის სადარაჯოზე“ ყოფნა, მაგრამ ხანდახან მას პირად ცხოვრებაში არამართებული ჩარევა, რეპუტაციის შელახვა, ან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა შეუძლია, რასთან დაკავშირებითაც პირებმა შეიძლება მიყენებული ზიანის გამოსწორების მიზნით მედიას სასამართლოში უჩივლონ. მედიასაშუალებების მხრიდან სენსაციური ამბების გაშუქებისადმი მაღალი ინტერესისა და კონკურენციის გამო, მაღალია იმის რისკი, რომ გაზვიადებული ან მცდარი ინფორმაცია გავრცელდეს. ხშირად მედია სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ რეპორტაჟებში ბრალდებულს მანამდე აცხადებს დამნაშავედ, სანამ სასამართლო მის ბრალეულობას დაადგენს. თუ შემდგომში პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი იქნება გამოტანილი, მედია საშუალებებით გაშუქებულმა ინფორმაციამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ადამიანების რეპუტაციას და ზიანის გამოსწორება გამამართლებელი განაჩენით აღარ იყოს შესაძლებელი.

52. სასამართლოებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების დაცვით უნდა შეასრულონ და წონასწორობა დაიცვან ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებებს შორის, როგორიცაა ერთის მხრივ - ადამიანის ღირსება, პირადი ცხოვრება, რეპუტაცია, ხოლო მეორეს მხრივ - უდანაშაულობის პრეზუმფცია, ინფორმაციის თავისუფლება და სხვა.

53. როგორც ევროპელ მოსამართლეთა მე-2 კონფერენციის შემაჯამებელ დასკვნაშია ასახული (წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 3), პირადი უფლებების (მაგ. რეპუტაცია, ღირსება ან პირადი ცხოვრების უფლება) დარღვევასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს გათვალისწინებული[9]. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ვალდებულია ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით აღძრულ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით ზიანის გამოსწორება დააკისროს მოპასუხეს არა მხოლოდ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის, არამედ ჩადენილი დარღვევის სიმძიმისა და პუბლიკაციის გავრცელების მასშტაბის გათვალისწინებით.

54. სასამართლოებს უფლება უნდა ჰქონდეთ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც ნათლად არის გაწერილი კანონმდებლობაში, ცენზურაში ბრალდების თავიდან აცილების მიზნით, გადაუდებელი ზომები გაატარონ პირის პირადი უფლებების (მაგ. რეპუტაცია, ღირსება ან პირადი ცხოვრების უფლება) სერიოზული დარღვევების დაუყოვნებელი შეჩერების მიზნით პუბლიკაციის კონფისკაციის ან რეპორტაჟის ეთერში გაშვების აკრძალვის გზით.

---

[9] იხილეთ მედია პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ მინისტერიალზე (2005 წლის 10-11 მარტი) მიღებული სამოქმედო გეგმის პარაგრაფი 28, სადაც ხაზგასმულია წევრ სახელმწიფოებში ცილისწამებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადასინჯვის საჭიროება.

55. როდესაც მედია (ან პოლიტიკოსები და მესამე მხარეები მედიის მეშვეობით) მოსამართლეს ან სასამართლოს აკრიტიკებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიზეზებით, CCJE-ს მიაჩნია, რომ მოსამართლემ, თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავოს იგივე არხების გამოყენებით საპასუხო გამოსვლისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებს უფლება აქვთ შესწორებები შეიტანონ პრესაში ასახულ მცდარ ინფორმაციაში, CCJE-ს რწმენით მიზანშეწნილია, რომ სასამართლოს ამ მხრივ მხარი დაუჭირონ სხვა ეროვნულმა სტრუქტურებმა, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებმა (მაგ. მოსამართლეთა საბჭო, ან მოსამართლეთა ასოციაცია) და დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ ასეთ კრიტიკასა და თავდასხმებზე.

დ. სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში და მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენა

56. სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში და მის გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენა არა მხოლოდ სასამართლოს ხელთ არსებული ძლიერი ინსტრუმენტია, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულება გააჩნია (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 8), არამედ იგი ასევე დავის მხარეებისთვის კანონის პრაქტიკაში განხორციელებას ემსახურება. შესაბამისად, სასურველია, რომ სასამართლოების მიერ გამოყენებული ენა იყოს გასაგები, მარტივი და ნათელი[10].

57. CCJE აღნიშნავს, რომ ევროპის ზოგ სახელმწიფოში მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ ძალიან მოკლე სასამართლო გადაწყვეტილებები ხელს უწყობენ მოსამართლის ავტორიტეტის ამაღლებას. სხვა სახელმწიფოებში, კი პირიქით, მოსამართლეები თვლიან, რომ ისინი ვალდებული არიან, ან მათ კანონმდებლობა ან პრატქიკა ავალდებულებს, რომ წერილობით ფორმაში დეტალურად იყოს დასაბუთებული და განმარტებული მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

58. CCJE არ ისახავს მიზნად წინამდებარე დასკვნის ფარგლებში მოცემულ საკითხში დეტალურად ჩაღრმავებას, მაგრამ აღნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობას დიდწილად ეროვნული სამართლებრივი სისტემები განაპირობებენ. იმავდროულად, CCJE -ს მიაჩნია, რომ სამართალწარმოების მარტივი და ნათელი ენა ხელს უწყობს სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას, სამართლებრივ განსაზღვრულობას და მოქალაქეების მიერ სამართლებრვი შედეგების განჭვრეტადობას, და საჭიროების შემთხვევაში მოქალაქემ დახმარებისთვის შეიძლება სამართლის სფეროს სპეციალისტს მიმართოს, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს.

59. CCJE-ს აზრით სამართალწარმოების ენა მარტივი და გასაგები უნდა იყოს, და მოსამართლეებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ლათინური სიტყვების, ან

---

[10] იხილეთ 1999 წლის 6-8 ოქტომბერს ლუბლიანაში შემდგარი ევროპის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეების მე-5 შეხვედრის შემაჯამებელი დასკვნები, პარაგრაფი 1.

საზოგადოებისათვის ძნელად გასაგები სიტყვების გამოყენებისგან[11]. სამართლებრივი ცნებების და კანონის ნორმების განმარტებისთვის საკმარისია კანონმდებლობიდან ან პრეცედენტებიდან ამონარიდების მოყვანა.

60. ლაკონურობა და სიმარტივე არ უნდა იყოს აბსოლუტური მიზანი, რადგანაც იმავდროულად, მოსამართლეებმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი გადაწყვეტილებები და ისინი საკმარისად დასაბუთებული უნდა იყონ. CCJE-ს აზრით სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა მოითხოვდეს, რომ გადაწყვეტილებებში მოყვანილი იყოს მსჯელობა მათი საფუძვლების თაობაზე, და მოსამართლეს საკმარისი მიხედულება უნდა გააჩნდეს, რათა მან თავად აარჩიოს, თუ როდის არის მიზანშეწონილი ზეპირი გადაწყვეტილება (რომლის ტრანსკრიპტი მომზადდება საჭიროების, ან შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში), წერილობით ფორმაში მომზადებული მოკლე დასაბუთებული გადაწყვეტილება (მაგ. "*attendu*", ანუ გადაწყვეტილების მოკლე მოტივაციის ფორმით), ან გრძელი და დეტალურად დასაბუთებული გადაწყვეტილება, როდესაც მყარი პრეცედენტების მოყვანა არ არის შესაძლებელი, და/ან ფაქტობრივი გარემოებები დეტალურ მსჯელობას საჭიროებენ. შედარებით გამარტივებული დასაბუთება მისაღებია განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ან სხვა განკარგულებების შემთხვევაში, რომლებსაც პროცესუალური ღირებულება გააჩნიათ და არ შეეხებიან მხარეების მატერიალურ უფლებებს.

61. მართლმსაჯულების მისაწვდომობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი სასამართლოს გადაწყვეტილებებთანაა დაკავშირებული, რაც ამ გადაწყვეტილებების საზოგადოებისათვის მისაწვდომობას გულისხმობს[12]. ამ მიზნის გათვალისწინებით, CCJE რეკომენდაციას იძლევა, რომ უზენაესი სასამართლოს და სხვა მნიშვნელოვანი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მაინც იყოს მისაწვდომი ინტერნეტ საიტების მეშვეობით, რაც არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, და ნაბეჭდ ფორმატში, იმ შემთხვევაში, თუ რეპროდუცირების ხარჯები იქნება ანაზღაურებული. შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროების პროცესში დაინტერესებული პირების, კერძოდ კი მხარეებისა და მოწმეების პირადი ინფორმაციის დაცვის მიზნით.

რეკომენდაციებისა და დასკვნების შეჯამება

ა. სასამართლოებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები, აქცენტი დემოკრატიულ საზოგადოებებში სასამართლოების როლზე

[11] იხილეთ „მართლმსაჯულებისა და საზოგადოების“ თემისადმი მიძღვნილი მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეების კონფერენციის შემაჯამებელი დასკვნები, ვილნიუსი, 1999 წლის 13-14 დეკემბერი, პარაგრაფი 1.

[12] იხილეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მე-5 შეხვედრის დასკვნები; ლუბლიანა, 1999 წლის 6-8 ოქტომბერი, პარაგრაფი 1.

ა.1. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ვალდებულება გააჩნია მიაწოდოს ყველას, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს, შესაბამისი ინფორმაცია და სასწავლო მასალები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მართლმსაჯულების სისტემას. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 11)

ა.2. სასკოლო და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები სასამართლო სისტემის აღწერას უნდა შეიცავდნენ და გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლოებში ვიზიტების ორგანიზება და სასამართლო პროცედურების თაობაზე ცოდნის აქტიური გაზიარება და სწავლება. სასამართლოებმა და მოსამართლეთა ასოციაციებმა სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან უნდა ითანამშრომლონ და მოსამართლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო პროცესში და საჯარო დებატებში. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 12)

ა.3. სასამართლოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა სტრუქტურების მიერ მომზადებულ საერთო ჩარჩო პროგრამებში და ჩაერთონ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 14 და 15)

ა.4. რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 16-19):

- სასამართლოებში ისეთი სამსახურების შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მოქალაქეთა მიღებასა და საინფორმაციო მომსახურეობაზე;
- ბეჭდვითი მასალების გავრცელება, სასამართლოების ინტერნეტ-საიტების გახსნა;
- სასამართლოების მიერ საგანმანათლებლო ფორუმებისა და/ან საჯარო შეხვედრების კალენდარის შემუშავება, რომლებშიც მონაწილეობის მიღება მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სტუდენტებს და პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ პირებს შეეძლებათ;
- საზოგადოების ინფორმირებულობაზე და მართლმსაჯულების მისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამები.

ა.5. მოსამართლეებს შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებზე. გარდა ამისა, სასამართლოებს საგანმანათლებლო სტრუქტურებთან კომუნიკაციის მიზნით შესაბამისი პერსონალის დაქირავების საშუალება უნდა ჰქონდეთ. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 20)

ა.6. ადგილობრივ დონეზე განხორციელებული სხვადასხვა ინიციატივების კოორდინირების პასუხისმგებლობა, ისევე როგორც საზოგადოების ინფორმირებულობაზე მიმართული პროგრამების ეროვნულ დონეზე განხორციელების მხარდაჭერა CCJE-ის დასკვნა No. 1 (2001)-ის 37-ე და 45-ე პარაგრაფებში ნახსენებ დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქციებში უნდა შედიოდეს. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 21)

ა.7. სასამართლოებისთვის ადეკვატური დაფინანსება უნდა იყოს გამოყოფილი ისეთი აქტივობების განხორციელებისთვის, რომლებიც სასამართლო სისტემის ფუნქციონირების განმარტებაზე და სასამართლო სისტემის გამჭვირვალეობის გაუმჯობესებაზე და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაზეა მიამრთული და ასეთი ხარჯები ცალკე ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, რათა ეს ისინი სასამართლოების საოპერაციო ბიუჯეტებს არ მიეწეროს. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 22)

ა.8. პროკურორებმა მათ იურისდიქციაში არსებულ სამართალწარმოების ნაწილთან მიმართებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 23)

ბ. სასამართლოს ურთიერთობები სამართალწარმოების პროცესის მონაწილეებთან

ბ.1. იმისთვის, რომ სასამართლოს როლი უკეთ იყოს გაცნობიერებული, საჭიროა მაქსიმალური ძალისხმევის მიმართვა იმაზე, რომ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა ჰქონდეს მართლმსაჯულების სისტემაზე, და მოსამართლეების და სასამართლო მოხელეების მიერ საზოგადოების პატივისცემისა და ნდობის მოპოვებაზე და სასამართლოების ეფექტურად ფუნქციონირებაზე მიმართული საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია სწორად უნდა იყოს მიტანილი საზოგადოებამდე. იმავდროულად, ასეთი ღონისძიებები ნათლად დაანახებს საზოგადოებას მართმსაჯულების სისტემისა და შესაძლებლობების ფარგლებს. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 24-27)

ბ.2. CCJE მხარს უჭერს ყველა ზომას, რომლიც მიმართულია საზოგადოებაში სწორი აღქმის ჩამოყალიბებაზე მოსამართლეების მიუკერძოებლობისა და მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისადმი. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 28-32)

ბ.3. ასეთ ზომებს შორისაა (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 28-32):

- მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისთვის და ადვოკატებისთვის ტრენინგების ჩატარება ეთიკის საკითხებზე;
- სასამართლოების ინფრასტრუქტურის მოწყობა და პროცესის ისეთი ორგანიზება, რომ არ შეიქმნას მხარეთა მიმართ არათანასწორი მოპყრობის შთაბეჭდილება;
- სამართალწარმოების პროცესი და პროცედურები ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ იგი არ იწვევდეს პროცესში მონაწილე პირებში შეურაცხყოფის განცდას.

გ. სასამართლოს ურთიერთობები მედიასთან

გ.1. CCJE-ს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია სასამართლოსა და პრესას შორის კონტაქტის გაუმჯობესება. კერძოდ (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 34):

i) სასამართლოს და მედიის როლის უკეთ გაცნობიერება;

ii) საზოგადოების ინფორმირება სამოსამართლო საქმიანობის ხასიათის, კომპეტენციის საზღვრებისა და სირთულის თაობაზე;

iii) გარკვეულ საქმეებთან დაკავშირებით რეპორტაჟებში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომების გასწორება.

გ.2 მოსამართლეებს სასამართლოს სპიკერზე ან პრესსამსახურის პერსონალზე ზედამხედველობის ფუნქცია უნდა გააჩნდეთ. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 35)

გ.3. CCJE-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას ჟურნალისტებსა და მოსამართლეებს შორის ამ ორ პროფესიასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პრაქტიკის თაობაზე მრგვალი მაგიდების ორგანიზების გზით, და ევროპის საბჭოს შეუძლია ასეთი კონტაქტების მხარდაჭერა ევროპულ დონეზე, რათა ამ მხრივ არსებული დამოკიდებულებები უფრო ერთგვაროვანი გახდეს. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 36 და 37)

გ.4. საჭიროა ჟურნალისტიკის სკოლების მხარდაჭერა, რათა მათ სასამართლო ინსტიტუტებისა და მათი პროცედურების თაობაზე სასწავლო კურსები შეიმუშაონ და დანერგონ. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 38)

გ.5. CCJE-ს აზრით უნდა შემუშავდეს მოსამართლეთა და ჟურნალისტების პრაქტიკის კოდექსი, რომელშიც ასახული იქნება ამ სფეროების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების და სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებული ნორმები. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 39)

გ.6. CCJE-ის რეკომენდაციის შესაბამისად დამოუკიდებელი ორგანოს სახით უნდა ჩამოყალიბდეს ქმედითი მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მედიის მიერ მიმდინარე სამართალწარმოების გაშუქებასთან დაკავშირებული პრობლემების, ან იმ სიძნელეების დარეგულირებაზე, რომლებიც შეიძლება ჟურნალისტებს შეექმნათ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულების და ინფორმაციის გავრცელების პროცესში. ასეთი ორგანო ზოგად რეკომენდაციებს შეიმუშავებს, რომლებიც მომავალში მსგავსი პრობლემების და ხარვეზების აღმოფხვრაზე იქნებიან მიმართული. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 40)

გ.7. მხარი უნდა დაეჭიროს სასამართლოებში მისაღების ორგანიზებას და საინფომრაციო მომსახურეობების ჩამოყალიბებას, რომელთა მიზანია მედიისთვის დახმარების გაწევა, რათა მოცემული სფეროს წარმომადგენლებმა უკეთ გაიგონ, თუ როგორ ფუნქციონირებს მართლმსაჯულების სისტემა, რაც შემდეგი გზით უნდა იყოს მიღწეული (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 41 და 42):

- მედიისთვის სასამართლო გადაწყვეტილებების თაობაზე შემაჯამებელი ინფორმაციის მიწოდება (რეზიუმეები);

- მედიისთვის სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება;

- მედიასთან თანამშრომლობა იმ საქმეების განხილვებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშუქების პროცესში, რომლებიც საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევენ.

- ფაქტობრივი განმარტებების მიწოდება ან შესწორებების შეტანა მედიის მიერ გაშუქებულ საქმეებში

გ.8. სასამართლოებმა მედიას ინფორმაცია გამჭვირვალედ და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიაწოდოს. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 43)

გ.9. CCJE-ს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო პროცესის მსვლელობის სატელევიზიო ჩაწერა მიმდინარეობს, გამოყენებული უნდა იყოს სტაციონარული კამერა, და მოსამართლეს, რომელიც სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს, უფლება უნდა ჰქონდეს გადაწყვიტოს, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს ჩაწერა, და გარდა ამისა ტრანსლირების ნებისმიერ მომენტში შეწყვეტის მოთხოვნის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ზემოხსენებული და სხვა ზომები პროცესის მონაწილეების უფლებების დაცვაზე და სასამართლო განხილვის შეუფერხებლად მიმდინარეობაზეა მიმართული. მოცემულ კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იყოს პროცესის მხარეების აზრი, განსაკუთრებით გარკვეული ხასიათის სამართალწარმოების შემთხვევაში, როდესაც საქმე პირის პირად ცხოვრებას შეეხება. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 44 და 48)

გ.10. CCJE მხარს უჭერს და მოუწოდებს მედია-წარმომადგენლებს შეიმუშაონ პროფესიული ეთიკის კოდექსები, რომელთა მიზანია სამართალწარმოების პროცესის დაბალანსებული გაშუქებისა და რეპორტაჟების ობიექტურობის ხელშეწყობა. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 49)

გ.11. CCJE-ს მიაჩნია, რომ შეიძლება გარკვეული მიზეზებით გამართლებული იყოს სასამართლო განხილვების ჩაწერა და სასამართლოს მიერ დადგენილი შეზღუდვებით მათი გამოყენება (მაგალითად, საგანმანათლებლო მიზნები, ან განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის პროცესები, რომელთა ჩანაწერები უნდა იყოს დაცული). ასეთ შემთხვევებში საჭიროა პროცესის მონაწილეების ინტერესების დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ გადაღების მეთოდები არ აფერხებდნენ სასამართლო პროცესის მიმდინარეობას. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 50)

გ.12. CCJE-ს მიაჩნია, რომ პირადი უფლებების (მაგ. რეპუტაცია, ღირსება ან პირადი ცხოვრების უფლება) დარღვევასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ვალდებულია ზიანის თაობაზე სამოქალაქო საქმეზე უზრუნველყოს ზიანის გამოსწორების დაკისრება არა მხოლოდ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის, არამედ ჩადენილი დარღვევის სიმძიმისა და პუბლიკაციის გავრცელების მასშტაბის გათვალისწინებით. სასამართლოებს უფლება უნდა ჰქონდეთ გამონაკლის შემთხვევებში გადაუდებელი ზომები გაატარონ პირების პირადი უფლებების (მაგ. რეპუტაცია, ღირსება ან პირადი ცხოვრების უფლება) სერიოზული დარღვევების

დაუყოვნებელი შეჩერების მიზნით პუბლიკაციის კონფისკაციის ან რეპორტაჟის ეთერში გაშვებაზე აკრძალვის დადების გზით. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 51- 54)

გ.13. როდესაც მედია მოსამართლეს ან სასამართლოს აკრიტიკებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიზეზებით, CCJE-ს მიაჩნია, რომ მოსამართლემ, თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავოს იგივე არხების გამოყენებით საპასუხო გამოსვლისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებს უფლება აქვთ შესწორებები შეიტანონ პრესაში ასახულ მცდარ ინფორმაციაში, CCJE-ს რწმენით მიზანშეწნილია, რომ სასამართლოს ამ მხრივ მხარი დაუჭირონ სხვა ეროვნულმა სტრუქტურებმა, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებმა (მაგ. მოსამართლეთა საბჭო, ან მოსამართლეთა ასოციაცია) და დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ ასეთ კრიტიკასა და თავდასხმებზე. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 55)

დ. სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში და მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოყენებული ენა

დ.1. CCJE-ს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლოების მიერ გამოყენებული ენა იყოს გასაგები, მარტივი და ნათელი (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფები 56-58)

დ.2. CCJE-ს აზრით სამართალწარმოების ენა მარტივი და გასაგები უნდა იყოს, და მოსამართლეებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ლათინური სიტყვების, ან საზოგადოებისათვის ძნელად გასაგები სიტყვების გამოყენებისგან. სამართლებრივი ცნებების და კანონის ნორმების განმარტებისთვის საკმარისია კანონმდებლობიდან ან პრეცედენტებიდან ამონარიდების მოყვანა. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 59)

დ.3. CCJE-ს აზრით სასამართლოს მსჯელობა და გადაწყვეტილებები ყოველთვის ზუსტი და სრული უნდა იყოს, თუმცა პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება უფრო გამარტივებული მოთხოვნები იყოს დანერგილი დასაბუთებასთან მიმართებაში და მოსამართლეებს იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გადაწყვეტილებების ზეპირად წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეთ (საჭიროების შემთხვევაში ტრანსკრიპტი იწარმოება) ნაცვლად წერილობითი გადაწყვეტილებებისა (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 60)

დ.4. CCJE რეკომენდაციას იძლევა, რომ უზენაესი სასამართლოს და სხვა მნიშვნელოვანი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მაინც იყოს მისაწვდომი ინტერნეტ საიტების მეშვეობით, რაც არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, და ნაბეჭდ ფორმატში, იმ შემთხვევაში, თუ რეპროდუცირების ხარჯები იქნება ანაზღაურებული. შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროების პროცესში დაინტერესებული პირების, კერძოდ კი

მხარეებისა და მოწმეების პირადი ინფორმაციის დაცვის მიზნით. (იხილეთ წინამდებარე დასკვნის პარაგრაფი 61)